საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი **26.03.2019.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, თორნიკე ტიკაძე, ციცინო ჩხაიძე და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი **ელიკო იმნაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით 5 სპეციალისტის დამატებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა **ელიკო იმნაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის, ჩოჩხათისა და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში საჭიროა თითო სპეციალისტის დამატება, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სოფლებში მერის წარმომადგენლებს დაემატათ ფუნქციები. ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხრა სოფელია გაერთიანებული, არსებული საჯარო მოხელეების რაოდენობა საკმარისი არაა მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და ეფექტური მუშაობისათვის. სოფელ შუხუთში, რომელიც ორ სოფელს აერთიანებს, ორი საჯარო მოხელე ვერ ახერხებს ორივე სოფლის

მოსახლეობასთან სათანადო მუშაობას, იგივე სურათია აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც რამდენიმე სოფელია გაერთიანებული და მთიანი რელიეფი სირთულეებს ქმნის. მან ასევე აღნიშნა, რომ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტს ესაჭიროება სპეციალისტი, რომელიც იმუშავებს გენდერულ საკითხებზე. აღნიშნული თემა დღეს აქტუალურია, საჭიროა სხვადასხვა მიმართულებით საკითხების მომზადება, ქალების პრობლემებისა და სხვადასხვა სფეროში გენდერულ ჭრილში არსებული სიტუაციის შესწავლა. „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამიდან" თანხის გაცემის პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში აუცილებელია სპეციალისტი სამედიცინო განათლებით, რომელიც ნახევარ განაკვეთზე დასაქმდება. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის, როლანდ ლაშხიას ინფორმაციით შტატგარეშე მუშაკთა ხელშეკრულებით დასაქმება განხორციელდება დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

დეპუტატმა **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ჩიბათისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს ყავს თითო სპეციალისტი. სოფლებში წარმომადგენლებს დაემატათ ფუნქციები და შესაბამისად აღნიშნულ სოფლებში სპეციალისტების დამატება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გენდერის კუთხითა და სამედიცინო განათლების მქონე სპეციალისტების შრომითი ხელშეკრულებით აყვანა. მან დააყენა წინადადება, რომ 28 მარტის საკრებულოს სხდომისთვის აღნიშნულ საკითხში გათვალისწინებულ იქნას სოფლებში, ჩიბათსა და ჯურუყვეთში თითო სპეციალისტის დამატება.

კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** დააყენა წინადადება, რომ ფინანსური უზრუნველყოფის არსებობისთანავე სოფლებში, ჯურუყვეთსა და ჩიბათში მოხდეს თითო სპეციალისტის დამატება, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები. მან ასევე აღნიშნა, ვინაიდან კანონი ავალდებულებს მერიას, რომ ყავდეს სპეციალისტი, რომელიც იმუშავებს გენდერულ საკითხებზე, ამიტომ სამომავლოდ მიზანშეწონილია კანონის ფარგლებში აღნიშნული სპეციალისტისთვის დაშვებულ იქნას შტატი.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- **წარმოდგენილ საკითხში გათვალისწინებულ იქნას სოფლებში, ჩიბათსა და ჯურუყვეთში თითო სპეციალისტის დამატება და ფინანსური უზრუნველყოფის არსებობისთანავე მოხდეს მათი ხელშეკრულებით აყვანა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულებაში 2019 წლის 08 თებერვლის 2089 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს

დამატებით გამოეყო 374000 ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება განისაზღვრა 748000 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის 2577 განკარგულებაში 2019 წლის 12 თებერვლის 214 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 155738 ლარი, თანადაფინანსების სახით უნდა მიიმართოს 8197 ლარი, სულ საპროექტო ღირებულება 163935 ლარი. მუნიციპალიტეტის გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის ადმინისტრატორის წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის მომსახურების ღონისძიებებზე გამოიყოს 10100 ლარი, დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწოლილად ჩაითვალა დამონტაჟებული იქნეს კონტროლის (600X900მმ 1) 21 ცალი - 3402 ლარის ღირებულების ინდივიდუალური პროექტირების ფარის ვიდეო მოწყობილობა და 4 ცალი 1352 ლარის ღირებულების ინდივიდუალური პროექტირების ფარის (900X1250მმ 2) ვიდეო კონტროლის მოწყობილობა, სულ 4760 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულებაში მიმდინარე წლის 8 თებერვლის საქართველოს მთავრობის 207 განკარგულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 520000 ლარი, რომელიც მიიმართება საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. 120390 ლარით განხორციელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსება.

ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წინადადებით მიზანშეწოლილად ჩაითვალა გურიის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის „მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი"-ს მხარდასაჭერად გამოიყოს 1500 ლარი.

აღნიშნული პროექტების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯების 24557 ლარის დაფინანსება განხორციელდეს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის ზრდის ხარჯზე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ფარგლებში დაზუსტებული იქნას საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი და განისაზღვროს 363900 ლარით. ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების საქონელი და მომსახურების მუხლი 7400 ლარით და გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის საქონელი და მომსახურების მუხლი 900 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 6500 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სახელოვნებო-სამუსიკო სკოლას შეექმნა პრობლემა შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებთან დაკავშირებით და აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად შემოტანილი აქვს მოთხოვნა 5200 ლარის დამატებაზე, თუ ეს შიდა რესურსის ხარჯზე ვერ მოხდება, მაშინ საჭირო გახდება დამატებითი წყაროს მოძიება.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში, რის შესახებაც მან არაერთხელ დასვა საკითხი სხდომებზე. შენობა საჭიროებს სასწრაფოდ რეაბილიტაციას. მან ასევე გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ სოფელ შუხუთს სოფლის პროგრამებით განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოეყო 32000 ლარი, რაც მისი თქმით მიზერული თანხაა, ვინაიდან სოფელში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი.

კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვერ მოხერხდება. ამიტომ აუცილებელია აღნიშნულის შესახებ წერილობით მიეწოდოს ინფორმაცია განათლების სამინისტროს. მან ასევე დააყენა წინადადება, რომ წარმოდგენილ საკითხში შეტანილ იქნას ა(ა)იპ სახელოვნებო-სამუსიკო სკოლის დაფინანსების გაზრდა 5200 ლარით, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- **წარმოდგენილ საკითხში შეტანილ იქნას ა(ა)იპ სახელოვნებო-სამუსიკო სკოლის დაფინანსების გაზრდა 5200 ლარით.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 26.03.2019 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2019 წლის 26 მარტს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- **წარმოდგენილ საკითხში გათვალისწინებულ იქნას სოფლებში, ჩიბათსა და ჯურუყვეთში თითო სპეციალისტის დამატება და ფინანსური უზრუნველყოფის არსებობისთანავე მოხდეს მათი ხელშეკრულებით აყვანა.**

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნის გათვალისწინებით:

- **წარმოდგენილ საკითხში შეტანილ იქნას ა(ა)იპ სახელოვნებო-სამუსიკო სკოლის დაფინანსების გაზრდა 5200 ლარით.**

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.03.2019 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
2	თორნიკე ტიკაძე	10 58	
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრება	
5	ამირან გიგინეიშვილი	10 55	
6	იოსებ ჩხაიძე	10 50	
7	აკაკი იმნაიშვილი	11 00	
8	ზურაბ კუკულავა	არ ესწრება	
9	ციცინო ჩხაიძე	10:59	